საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის ბიუროს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

№330/11

2020 წელი, 24 თებერვალი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 102-ე მუხლის მე-10 პუნქტის საფუძველზე საქართველოს პარლამენტის ბიურო ადგენს:

საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის წინადადების საფუძველზე, საქართველოს პარლამენტის წევრების: ნინო წილოსანის, კახაბერ კუჭავას, სულხან მახათაძის, ოთარ დანელიას, ენძელა მაჭავარიანის, გიორგი გაჩეჩილაძის, კობა ლურსმანაშვილის, ზაზა ხუციშვილის და პაატა გოგოხიას მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი „აკვაკულტურის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე", „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე", „რეგულირების საფასურის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე", „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ", „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე", „ცხოველთა სამყაროს შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე", „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე", „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ", „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ", „წყლის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" (N07-3/430, 29.01.2020) საქართველოს კანონის პროექტების I მოსმენით განხილვის ვადა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტს (წამყვანი კომიტეტი) და იმ კომიტეტს, რომლის დასკვნაც უნდა ერთოდეს კანონპროექტებს, 2020 წლის 25 თებერვლიდან შესაბამისად გაუგრძელდეთ 30 დღით.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე,
ბიუროს სხდომის თავმჯდომარე — არჩილ თალაკვაძე